



N01 იანვარი, 2010

სოციალური მომსახურების სააგენტო გათავაზობთ, ყოველთვიურ საინფორმაციო ბიულეტენს სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის და საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირების მიზნით

2010 წლის იანვრის საინფორმაციო ბიულეტენი

ტრენინგი რაიონული და რეგიონული განყოფილებების ხელმძღვანელებისთვის



2010 წლის 17 იანვარს სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონული და რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელებისთვის ტრენინგი ჩატარდა.

აღნიშნული ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონალური და რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელებისთვის იმ საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობა, რომელიც 2010 წლის 1 მარტიდან შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონში შევა. შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა სიღარიბის შეფასების მეთოდოლოგიაში დაგეგმილი ცვლილებები. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, საპრეზენტაციო მასალა

სოციალური მომსახურების სააგენტოს დეპარტამენტების უფროსებმა წარმოადგინეს.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაზარალებულ პირთა პენსია იზრდება



"საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის" 34-ე მუხლის შესაბამისად, ქვეყნის მასშტაბით 2010 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებებისას დაზარალებულთა პენსია იზრდება.

მიმდინარე წლიდან, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პენსია 84 ლარიდან 129 ლარამდე გაიზრდება.

ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების პირები კი 70

ლარის ნაცვლად 80 ლარს მიიღებენ.

2010 წლის იანვრის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებებისას დაზარალებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 1 022 პენსიონერია რეგისტრირებული. აქედან 428 მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის, - ხოლო 594 კი, ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირია.

მიმდინარე წლის იანვრის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნულ პირთა საპენსიო უზრუნველყოფისთვის დაახლოებით 104 ათასი ლარია გადარიცხული.

სოციალური მომსახურების სააგენტო "ბავშვზე ზრუნვისა" და "შშპპ, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2010 წლის პროგრამის ფარგლებში 1 442 ბენეფიციარს დააფინანსებს



"ბავშვზე ზრუნვა" 2010 წლის პროგრამისა და "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში, 2010 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დაფინანსდება:

- ქვეპროგრამა "ჩვენი სახლი"-ს ფარგლებში - 134 ბენეფიციარი;
- ქვეპროგრამა "დღის ცენტრები"-ს ფარგლებში, - 410 ბენეფიციარი;
- შშპ პირთა "დღის ცენტრების" ქვეპროგრამის ფარგლებში, - 828 ბენეფიციარი;
- შშპ პირთა სათემო ორგანიზაციის ქვეპროგრამის ფარგლებში, - 70 ბენეფიციარი;

სულ აღნიშნული პროგრამების ფარგლებში 1 442 ბენეფიციარი მიიღებს სახელმწიფო დახმარებას. მათ დასაფინანსებლად 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაახლოებით 13,7 ლარია გამოყოფილი.